პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 182
(7493)

22
1983 წ.
სექტემბერი,
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი

მიძღვნა
ღირსშესანიშნავ
თარიღს

●

მასობრიობის ნიშნით

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის დადგენილებამ „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ“ მძლავრი ბიძგი მისცა მთელს ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას. ამ დიდმნიშვნელოვანი დადგენილების მიღების ორი წლის თავზე, 11 სექტემბერს მეორედ მოეწყო მორბენლის საკავშირო დღე — მასობრივი ფიზკულტურის, ჯანმრთელობისა და სიჭაბუკის გრანდიოზული დღესასწაული. ეს მასობრივი ღონისძიება, აგრეთვე ამ ბოლო პერიოდში დანერგილი „მოცურავის“, „მოთხილამურის“ დღეები, სხვა საინტერესო შეჯიბრებები თვალნათლივ მეტყველებენ საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების მასობრიობაზე, მის საყოველთაო-სახალხო ხასიათზე. საგრძნობლად გამოცოცხლდა ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურული მოძრაობაც. მორბენლის დღესთან ერთად, წლეულს უკვე გაიმართა ჯანმრთელობის დღესასწაული, ფეხბურთის დღე, ქართული ჭიდაობის დიდი ზეიმი, რომელიც გასულ კვირას მოეწყო და ჩვენი ეროვნული სპორტის თავისებურ დათვალიერებად იქცა.

ასეთი ღონისძიებების ჩატარება მისასალმებელია, განსაკუთრებით კი ის, რომ აშკარად იგრძნობოდა მოსახლეობის დიდი ნაწილის აქტივობა, ახალგაზრდების, მშრომელების ლტოლვა ფიზიკური სრულყოფისაკენ, ჯანმრთელობის განმტკიცებისაკენ. თავად განსაჯეთ: 11 სექტემბერს, მორბენლის დღეს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში სარბენ ბილიკებზე გამოვიდა 1016642 ადამიანი. მათ შორის თბილისში — 200 000, ქუთაისში — 92 000, აჭარაში — 81 000, ცხინვალში — 16 000, გორში — 10 000, ტყიბულში — 7 000, ზუგდიდში — 12 000, თელავში — 20 000, ფოთში — 8 500, სამტრედიაში — 3 700, მახარაძეში — 14 000, ლანჩხუთში — 3700, გორის რაიონში — 15 000, წითელწყაროში — 5 000, წულუკიძეში — 2500, ჩოხატაურში — 4 000, ხაშურში — 3240, ორჯონიკიძეში — 4330, საჩხერეში — 2000, თიანეთში — 3000, ბოლნისში — 1634, ჩხოროწყუში — 830, ცაგერში — 2000, ყვარელში — 500 და ა. შ.

ცხადია, ასეთი ღონისძიებები, რაც არ უნდა მასობრივად, საინტერესოდ ჩატარდეს, მაინც არ არის საკმარისი. აუცილებელია ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ფიზკულტურა, სპორტი, ტურიზმი თითოეული მოზარდისთვის, თითოეული ადამიანისთვის მოთხოვნილებად, ყოველდღიური ცხოვრების ნორმად იქცეს. საამისოდ კი ადგილებზე — ქალაქად და სოფლად, საცხოვრებელი და სამუშაო ადგილების მიხედვით — უნდა შევქმნათ შესაფერისი პირობები, მატერიალური ბაზა, ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს არც ერთი ასაკობრივი ჯგუფი, განსაკუთრებულად ვიზრუნოთ საწარმოო და სასწავლო დაწესებულებებში, ბრიგადაში, საამქროში, ფერმაში, ჯგუფებსა და კლასებში საინტერესო და შინაარსიანი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაჩაღებლად. ამ საქმეში კი წარმატების მოპოვება შეუძლებელია საზოგადოებრივ აქტივზე დაყრდნობის, თითოეული ფიზკულტურული მუშაკის პასუხისმგებლობისა და აქტიურობის ამაღლების გარეშე. უნდა ავამოქმედოთ ყველა რეზერვი, მაქსიმალურად გამოვიყენოთ არსებული შესაძლებლობანი — მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ ფიზკულტურისა და სპორტის მასობრიობის ჭეშმარიტ ამაღლებას.



მეგობრობა — გზად და ხიდად

დარიალის ხეობის სილამაზე ყველასათვის კარგად არის ცნობილი. მასზე ბევრი ტურისტული მარშრუტი გადის. ამიტომ იყო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურმა საბჭომ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი სამთო ტურისტთა სრულიად კავკასიის ღია შეკრება და ავტოტურისტთა რალი — „საქართველოს ტური-83“ სწორედ დარიალის ხეობაში მდებარე ყველაზე მნიშვნელოვან ფორპოსტში, ყაზბეგში რომ მოაწყვეს. თითქოს „ხევის პატარძალმა“ — მყინვარწვერმაც იგრძნო ამ შეკრების მნიშვნელობა, ავდრის შემდეგ ღრუბლები გადაიყარა და მთელი თავისი ბრწყინვალებით წარუდგა ჩამოსულთ. მყინვარწვერს სტუმართმოყვარეობაში არც მასპინძლები ჩამორჩნენ. შეკრების მონაწილეებს გულღიად შეეგებნენ ყაზბეგის ტურისტული სასტუმროს თანამშრომლები დირექტორის მ. გარაყანიძის ხელმძღვანელობით, ჩამოსულთ ზრუნვას არ აკლებდნენ ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თანამშრომლები. შეკრების ორგანიზატორებს დიდ დახმარებას უწევდა პარტიის ყაზბეგის რაიკომი, ხოლო კომკავშირის რაიკომის მდივანი გ. ჯამარჯიშვილი მათ გვერდიდან არ სცილდებოდა. შეკრების დამთავრების შემდეგ ყველა სტუმარი სიამოვნებით აღნიშნავდა აქ შექმნილ მეგობრულ ატმოსფეროს. შეჯიბრების დროს ასეთი შემთხვევებიც მოხდა, მეგობრული თავდადების მაგალითად, რომ შეიძლება ჩაითვალოს: ავტორალის მიმდინარეობისას ნორიო-ცხვარიჭამიას გზაზე მ. შენგელიას და გ. ყანჩაველის ავტომობილს მოულოდნელად სტაბილიზატორი მოძვრა და მანქანა გადაბრუნდა. საბედნიეროდ, ორივე საღსალამათი დარჩა. მათ აღარაფერი ემუქრებოდათ, და მაინც. მათ უკან მომავალმა ყველა ეკიპაჟმა გააჩერა ავტომობილი, (იმის მიუხედავად, რომ ბევრ ძვირფას ქულას კარგავდნენ) და დაზარალებულთა მანქანა მწყობრში ჩააყენეს. მეგობრული მხარდაჭერით გამხნევებულმა თბილისელმა მრბოლებმა შეჯიბრება გააგრძელეს და საბოლოოდ ურიგო შედეგი არ უჩვენებიათ.

სამთო ტურისტთა შეკრების ზოგიერთ მონაწილეს აჩქარების თუ გამოუცდელობის გამო ალპინისტური აღჭურვილობის ესა თუ ის იარაღი სახლში დარჩენოდა. მაგრამ მათ სადარდებელი მაინც არაფერი ჰქონდათ: მეგობრულად გაწვდილი ხელიდან ყველა საჭირო ნივთს ღებულობდნენ. გარდა ამისა, ყველა ერთმანეთს ქომაგობდა და საჭირო რჩევა-დარიგებას აძლევდა. უნდა გენახათ, როგორ გულშემატკივრობდნენ თბილისელი მეკლდეურები თავის უშუალო მეტოქეს, მოლდავეთის გუნდს.

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •

სურათებზე: რალის დისტანციაზე; ასპარეზობს მ. შენგელიას და გ. ყანჩაველის ეკიპაჟი. გამარჯვებული — „ედელვაისის“ გუნდი.

ს. ბელოუსოვის ფოტოები.

ტურისტული ბილიკებით

ამ დღეებში საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმარგანეცის“ პროფკავშირის კომიტეტთან (თავმჯდომარე ნ. გოგისვანიძე) არსებულმა ალპინისტურმა სპორტულმა სექციამ (მწვრთნელი გ. სამხარაძე) ამავე გაერთიანების კომკავშირის კომიტეტის ინიციატივით მოაწყო მრავალდღიანი სამთო ტურისტული ლაშქრობა ქლუხორის უღელტეხილზე. ღონისძიება მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. ჭიათურელი მთამსვლელები ქლუხორის უღელტეხილზე შეხვდნენ ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტებს. მათ ერთობლივად ჩაატარეს მეგობრული საღამო, გადაიღეს სამახსოვრო სურათები და დათქვეს, რომ გაისად, აგვისტოში შეხვდებიან მარგანეცის ქალაქში და ერთად ავლენ კავკასიონის მათთვის ხელმისაწვდომ მწვერვალზე. მიუხედავად მარშრუტის სირთულისა, ჭიათურის მთამსვლელური ჯგუფის წევრებმა ლაშქრობა კარგად ჩაატარეს და მშობლიურ ქალაქში კმაყოფილი დაბრუნდნენ.

ვ. ლურსმანაშვილი,
(„ლელოს“ კორ.).
ქ. ჭიათურა.

საქართველოს სპორტის ვეტერანთა საყურადღებოდ!

24 სექტემბერს ლენინური კომკავშირის სახელობის (ცენტრალური საწყლოსნო კომპლექსის სააქტო დარბაზში (სტალინის სახ. სანაპირო, № 3)

გაიმართება

ფიზიკური კულტურისა და სპორტის ვეტერანთა

რესპუბლიკური კრება

დასაწყისი 12 საათზე.

საქართველოს სპორტკომიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობა — გზად და ხიდად

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წელი

(დასასრული)

ასეთ მეგობრულ ატმოსფეროში გაცილებით იოლი იყო ყველა ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა, რომელიც ტურისტთა ამ ფორუმს ჰქონდა დაკისრებული: იქნებოდა ეს საქართველოს გმირული წარსულის, თუ უკანასკნელი პერიოდის მიღწევების გაცნობა, ტურიზმის პოპულარობის შემდგომი ამაღლება, მასში ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმა და სხვა.

სამთო ტურისტთა სრულიად კავკასიის ღია შეკრება და ავტოტურისტთა რალი „საქართველოს ტური-83" 15 სექტემბერს ყაზბეგში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. სიტყვით გამოსულმა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა გ. ყალაბეგიშვილმა დამსწრეთ შეახსენა, რომ საბჭოთა ალპინიზმის აკვანი პირველად სამოცი წლის წინათ აქ, ყაზბეგში დაირწა, როდესაც გიორგი ნიკოლაძის ჯგუფი მყინვარწვერზე ავიდა. შეკრების მონაწილენი აღტაცებულნი შესცქეროდნენ საბჭოთა ალპინიზმის უტყვ მემატიანეს, დიდებულ ყაზბეგის მთას.

დაიწყო შეჯიბრება, სტარტზე პირველად მრბოლელები გამოვიდნენ. ისინი ერთმანეთს ჩქაროსნულ მანევრირებაში ეჯიბრებოდნენ. ყაზბეგის ტერიტორიაზე მოწყობილ ოთხ დისტანციას ყველაზე კარგად გაართვა თავი უზბეკეთის ეკიპაჟმა ე. იაკიმოვიჩის და ვ. ციბულევსკის შემადგენლობით. მეორე დღეს რალის მონაწილეებს უფრო სერიოზული გამოცდა ელოდათ — ყაზბეგ—ბაზალეთის რთული ეტაპი (აღსანიშნავია, რომ რბოლის მარშრუტის სქემა დიდი გემოვნებით შეადგინეს და ლამაზად გააფორმეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საპროექტო კანტორის „სოფმეურნპროექტის" თანამშრომლებმა თ. ყიფიანის ხელმძღვანელობით). ამ სამთო მონაკვეთს ყველაზე კარგად აუღეს ალღო ოდესელმა სპორტსმენებმა ვ. ზავადსკიმ და ფ. გარბერმა, რომლებმაც ეტაპი ყველაზე სწრაფად განვლეს და საერთო ლიდერობაც ხელთ იგდეს. შეჯიბრების მესამე დღეს პროგრამაში კვლავ ჩქაროსნული მანევრირება იყო. აქ ყველას თბილისელმა მრბოლელებმა კ. ერისთავმა და ნ. ბანდურაშვილმა აჯობეს. მანქანის მართვის ოსტატობა აჩვენეს თბილისის ავტომოყვარულთა საზოგადოების „ედელვაისის" გუნდის წევრებმა ვ. ფიოდოროვმა და გ. დავიდოვმა, რომლებიც სამი დღის პაექრობის ჯამში საგრძნობლად მიუახლოვდნენ ოდესელთა ეკიპაჟს. ავტორალის უკანასკნელ ეტაპზე (იგი ბაზალეთში დაიწყო, გაიარა აღმოსავლეთ საქართველოს ბევრი დასახლებული პუნქტი და თბილისში, რიყეზე დასრულდა), ლიდერებმა შედარებით უარესად იასპარეზეს: ზავადსკიმ და გარბერმა მხოლოდ მეათე შედეგი აჩვენეს, ფიოდოროვი და დავიდოვი კი მეთხუთმეტენი იყვნენ. და მაინც, ლიდერთა მიერ წინა ეტაპებზე მოპოვებული უპირატესობა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მათ ვერავინ დაეწია. საბოლოოდ „საქართველოს ტური-83"-ში გამარჯვება ოდესის ავტომოყვარულთა საზოგადოების წარმომადგენლებმა ზავადსკიმ და გარბერმა მოიპოვეს. მათ 1097 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ. 1297 ქულით მეორე ადგილი ფიოდოროვმა და დავიდოვმა მოიპოვეს. მესამე ადგილიც მათს თანაგუნდელებს ვ. სედიხს და ა. მურაშოვს ერგოთ — 1315, გუნდურ ჩათვლაში კი „ედელვაისს" ვერავინ აჯობა — 2715 ქულა. მეორე ადგილზე უზბეკი მრბოლელები გავიდნენ — 3363, მესამე კი ივანოვის გუნდი იყო — 3892.

ოდესის საოლქო ავტომოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარემ, ავიაციის გადამდგარმა გენერალმა ფ. კიბალმა განაცხადა, რომ სჯეროდა თავიანთი ეკიპაჟის გამარჯვებისა, რადგან ორივე სპორტსმენი სპორტის ოსტატია და მათ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში უსახელებიათ თავი. მან აღნიშნა შეჯიბრების ორგანიზაციის მაღალი დონე და მასპინძელთა სტუმართმოყვარეობა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ავტოტურისტთა რალის მსაჯმა, მოსკოველმა ინჟინერმა ა. აპოსტოლოვმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა მსაჯთა კოლეგიის სანიმუშო მუშაობას და ქებით მოიხსენია ა. აფანასიევი, ს. ჩუპინინი, ვ. კრივოშეენკო, რომლებიც ამ შეჯიბრებაზე სამსაჯოდ მაგადანიდან... მოტოციკლებით ჩამოვიდნენ. მან იმედი გამოთქვა, რომ ეს მნიშვნელოვანი შეჯიბრება ტრადიციული გახდება.

• • •

სამთო ტურისტთა შეჯიბრებას 300-ზე მეტი მონაწილე ჰყავდა. ამ სხვადასხვა ეროვნების, პროფესიისა და ხასიათის ადამიანებს ერთი გრძნობა აერთიანებდათ — მთების სიყვარული. 16 სექტემბერს ეს რაზმი ორად გაიყო. უფრო მცირერიცხოვანი, 19-კაციანი ჯგუფი, რომელიც შედარებით მომზადებული ალპინისტებისაგან შესდგებოდა, მყინვარწვერის დასალაშქრავად გაეშურა, ხოლო დანარჩენები ყაზბეგიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მდებარე სოფელ გველეთის ხიდისაკენ გაემგზავრნენ, რათა წინასწარ შერჩეულ ადგილებზე მეკლდეურობაში და წყლიანი დაბრკოლების გადალახვაში ეცადათ ძალა. გარდა ამისა, შეჯიბრების დებულების თანახმად, ყველა გუნდმა მონაწილეობა მიიღო სტენდების, ვიმპელებისა და ფოტოკონკურსში. მათში უნდა ასახულიყო გეორგიევსკის ტრაქტატი, როგორც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ორი მოძმე ერის ისტორიაში, აგრეთვე საბჭოთა კავშირში ტურიზმის განვითარება, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა და ბუნების სილამაზე. გამარჯვებული მეკლდეურობის და წყლიანი დაბრკოლების გადალახვისა და ამ კონკურსების შედეგების მიხედვით ვლინდებოდა.

მეკლდეურობისთვის და წყლიანი დაბრკოლებისათვის (ამ უკანასკნელის როლს მდინარე თერგი ასრულებდა) ადგილი საქართველოს სამხედრო გზის პირას შეარჩიეს და რადგან ახლოს მიმდინარე სამუშაოს გამო მიმოსვლა ხანდახან წყდებოდა, უამრავი მომლოდინე მგზავრი შეჯიბრების მაყურებელი გახდა. სამთო ტურიზმის პროპაგანდის ამაზე უფრო ხელსაყრელ მომენტს ვერც ინატრებდით.

წყლიანი დაბრკოლება ყველაზე უკეთ კრასნოდარის გუნდმა დაძლია. თბილისის ნაკრებმა მხოლოდ მეხუთე ადგილზე გასვლა შეძლო. მაგრამ ამ გუნდის წარმომადგენლებმა გვითხრეს, რომ ისინი მეკლდეურობაში უფრო იყვნენ გაწაფულნი. მართლაც, მეორე დღეს ისინი შეჯიბრების დანარჩენ მონაწილეებზე ერთი თავით მაღლა იდგნენ. თბილისის გუნდმა კლდეზე ასვლა 49.2 წუთში განახორციელა და მთელი 10 წუთით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული მოლდავეთის ნაკრები. განსაკუთრებით ქების ღირსია ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის გუნდის წევრი დალი მიქელაძე, რომელმაც ტოლი არ დაუდო თანაგუნდელ ვაჟებს.

შესანიშნავად დაიწყეს ასპარეზობა ქუთაისის წარმომადგენლებმაც, მაგრამ დისტანციის ნახევრის გავლის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი კლდეს „მოსწყდა" და გუნდი შეჯიბრებიდან მოიხსნა.

მეკლდეურობის და დაბრკოლების გადალახვისას საიმედოდ მუშაობდა სამაშველო სამსახური გ. ბენიძის ხელმძღვანელობით. მიუხედავად იმისა, რომ საასპარეზოდ შერჩეული კლდე საკმაოდ ციცაბო იყო და ზოგიერთი გუნდისათვის დაუძლეველი აღმოჩნდა, შეჯიბრების არც ერთ მონაწილეს ტრავმა არ მიუღია.

სამთოტურისტთა შეკრების სპორტული ნაწილის შემდეგ დაწინაურდა მოლდავეთის გუნდი, მას ოდნავ ჩამორჩებოდნენ კრასნოდარის და თბილისის ნაკრებები. შეჯიბრებაში გამარჯვებულის ბედი კონკურსებს უნდა გადაეწყვიტა. აქ კონკურენციის გარეშე თბილისელთა გუნდი იყო. თბილისელებმა გემოვნებით გაფორმებული სტენდი, შთამბეჭდავი ვიმპელი და ბუნების იშვიათი სილამაზის ამსახველი ფოტოსურათები წარადგინეს.

18 სექტემბერს, საღამოს, მსაჯთა კოლეგიამ შეჯიბრების შედეგები შეაჯამა და პირველი ადგილი თბილისის ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს გუნდს მიანიჭა. მეორე ადგილი მოიპოვა როსტოვის ოლქის გუნდმა, მესამე კი მოლდავეთის ნაკრებმა. გამარჯვებული გუნდის ღირსებას ი. სახელაშვილი, ლ. მიქელაძე, ა. ბუჩინსკი, ა. კოხტაშვილი, ჯ. ბენაშვილი და ი. კოვალიოვი იცავდა.

შეჯიბრებიდან მობრუნებულთ სასტუმროში სასიხარულო ამბავი დახვდათ: სამთო ტურისტთა ჯგუფს მყინვარწვერი დაელაშქრა და უკან მშვიდობიანად დაბრუნებულიყო. ძნელი დასაჯერებელია, რომ არც ისე გამოცდილმა მთამსვლელთა ჯგუფმა ორი დღის განმავლობაში მყინვარწვერზე ასვლა შეძლო. ეს უპირველესად ყოვლისა, ორი ნაცადი მთამსვლელის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონების მ. ჰიჭინაძის (ჯგუფის ხელმძღვანელი) და შ. გაბისიანის დამსახურებაა. მოვუსმინოთ მ. ჰიჭინაძეს:

— ჩვენს 19-კაციან რაზმში თითქმის ყველა გუნდის წარმომადგენელი ერია. ასვლისას დიდი სიფრთხილე გვმართებდა, რადგან უმრავლესობას ასეთი სიმაღლის მწვერვალზე არასოდეს შეედგა ფეხი. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ ასვლა ორ დღეში უნდა განგვეხორციელებინა. ყველაფერს უამინდობაც დაერთო. ამის გამო, ჩვენ ასვლის ისეთი ტაქტიკა ავირჩიეთ, რომ რისკი გამორიცხული ყოფილიყო. 16 სექტემბერს გავემგზავრეთ სამების ეკლესიისკენ, იქიდან კი 5-საათიანი სიარულის შემდეგ მეტეოროლოგიურ სადგურს მივაღწიეთ. აქ ღამე გავათიეთ და დილის ოთხ საათზე გადამწყვეტი იერიშისათვის მოვემზადეთ. დილით ქარი ამოვარდა, ნისლმაც იძალა. გავჩერდით და გათენებას დაველოდეთ. ორმა კაცმა ველარ შეძლო გზის გაგრძელება და ბანაკში დავაბრუნეთ. გეზი მაილის პლატოს მარცხენა გვერდის გავლით მწვერვალისაკენ გვეჭირა. 11 საათზე უკვე უნაგირაზე ვიყავით, 12 საათისათვის კი მყინვარწვერიდან დავყურებდით მთების საუფლოს. ბანაკშიც უხიფათოდ დავბრუნდით.

ასვლაში მონაწილეობდა ქუთაისის № 112 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე 14 წლის ვ. ერაძეც, რომელსაც მ. ჰიჭინაძე ავარჯიშებს. ნორჩი მთამსვლელი უფროსებთან ერთად მამაცურად იტანდა სიძნელეებს. მან დაამტკიცა, რომ ამ ასაკის ბავშვებს თამამად შეუძლიათ ალპინისტური წრთობა მიიღონ. გაივლის რამდენიმე წელიწადი და იქნებ სახელგანთქმულ ქართველ მთამსვლელთა პლეადას ქუთაისელი ჭაბუკიც შეემატოს...

ამ დროს „ხევის პატარძალს" ჩრდილოეთის პატარძალი ეწვია. გეორგიევსკის სარემონტო-მექანიკური ქარხნის მეკავშირე გ. გრეკოვა და ტურისტული კლუბის ინსტრუქტორი, სპორტის ოსტატი ა. ჩუნდევი 14 სექტემბერს დაქორწინდნენ, იმავე საღამოს კი ყაზბეგის მთის იერიშისათვის გაემგზავრნენ. ორი დღის შემდეგ ახალშექმნილი ოჯახი უკვე მყინვარწვერზე იყო.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მონაწილეებს ძირითადი ჯილდოების გარდა ბევრი სხვა პრიზიც გადაეცათ. ერთ-ერთი მათგანი, ცნობილი ქართველი მთამსვლელის კ. ასტახიშვილის სახელობის პრიზი — ყველაზე ტექნიკურ გუნდს — ქუთაისის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" კუთვნილება გახდა.

შეკრება დამთავრდა. რომ გენახათ რა ენთუზიაზმით უცვლიდნენ მისი მონაწილეები ერთმანეთს მისამართებს, ადვილად დაასკვნიდით, რომ ამ მშვენიერმა ღონისძიებამ პირნათლად შეასრულა თავისი მისია.

გ. ჩოჩიშვილი.

(„ლელოს" სპეც. კორ.).

ყაზბეგი—თბილისი.

• • •

სურათებზე: ნორჩი მთამსვლელი ვ. ერაძე. სამთო ტურიზმში გამარჯვებული თბილისის ნაკრები. შეკრების მონაწილენი წყლიანი დაბრკოლების გადალახვისას. თბილისის გუნდი საიერიშოდ ემზადება.

ვ. ტიშჩენკოს ფოტოები.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი - 83

უმაღლესი ლიგა

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

18 და 19 სექტემბერს შედგა სსრ კავშირის ჩემპიონატის 31-ე ტურის შეხვედრები.

„დინამო“ (კიევი) — „ფახთაქორი“ 2:0 (2:0). ბურთები შესვენებამდე გაიტანეს ევტუშენკომ (30 წთ) და დემიანენკომ (38).

მატჩს მოემსახურა საქართველოს მსაჯთა ბრიგადა ვ. მიმინოშვილის, თ. ლაცაბიძისა და უ. ფურცელაძის (ყველა — თბილისი) შემადგენლობით.

დუბლიორები — 2:0.

ცსკა — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0.

დუბლიორები — 1:3.

„შახტიორი“ — „დნეპრი“ 1:3 (1:2). ბურთები გაიტანეს დნეპროპეტროვსკელებმა ლიუტიმ (10, 35) და კუზნეცოვმა (67). საპასუხო გოლი გაიტანა იაშჩენკომ (21).

დუბლიორები — 1:3.

„ჟალგირისი“ — „ნისტრუ“ 5:0 (1:0). გოლები გაიტანეს იაკუბაუსკასმა (38), რასიუკასმა (58), პანკრატიევმა (73), მაცკავიჩიუსმა (82) და ნორბეკოვასმა (85).

დუბლიორები — 1:2.

„მეტალისტი“ — „ზენიტი“ 1:1 (1:1). ბურთები გაიტანეს ლენინგრადელმა მელნიკოვმა (14) და სააკოვმა (32).

გააფრთხილეს ლენინგრადელი დოლგოპოლოვი.

დუბლიორები — 3:0.

„დინამო“ (მინსკი) — „ჩერნომორეცი“ 3:0 (1:0). გოლები: სოკოლი (27, 60) და გურინოვიჩი (48).

დუბლიორები — 2:0.

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ 0:2 (0:2). ბურთები გაიტანეს ჩერენკოვმა (21) და გავრილოვმა (24).

გააფრთხილეს ტორპედოელები პრიგოდა, ქუპიკოვი და ვასილიევი, სპარტაკელი არგუდიაევი.

გააძევეს ტორპედოელი პივცოვი.

დუბლიორები — 1:3.

• • •

ერევნის „არარატისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩში გააფრთხილეს ჩიქოვანი. ამავე გუნდების დუბლიორთა შემადგენლობების მატჩში გაიმარჯვეს თბილისელებმა — 1:0. ბურთი გაიტანა ბარათაშვილმა.

• • •

გუშინ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე გაიმართა ერთი შეხვედრა, დონეცკის „შახტიორმა“ უმასპინძლა მინსკის „დინამოს“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0.

●

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 22 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ“. კ.	29	21	5	3	66-20	47
„დინ.“ მ.	28	16	6	6	39-23	38
ცსკა	29	14	8	7	47-35	36
„დინ.“თბ.	28	14	7	7	39-20	35
„დინ.“ მნ.	28	13	9	6	48-33	35
„მეტალ.“	29	12	7	10	57-47	31
„ნეფთჩი“	29	11	9	9	42-39	31
„ზენიტი“	27	13	4	10	45-40	30
„დნეპრი“	29	11	7	11	39-35	29
„ფახთაქ.“	29	8	11	10	37-46	27
„ჩერნ.“	28	9	8	11	42-42	26
„ჟალგ.“	29	9	8	12	36-44	26
„ტორპ.“ მ.	29	9	6	14	31-44	24
„სპარ.“	29	6	11	12	45-57	23
„ნისტრუ“	28	8	6	14	33-56	22
„შახტ.“	29	8	6	15	30-40	22
„არარ.“	29	7	5	17	24-48	19
„ტორპ.“ ქ.	30	6	3	21	29-61	15

მაყურებლები...

	შინ	სტ.	მაყ.
„დინ.“ კ.	14	15	909640
„სპარტაკი“	15	14	803450
„დინ.“ მნ.	14	14	791700
„დინ“. თბ.	15	13	731480
„შახტიორი“	14	15	722110
„მეტალისტი“	14	15	656900
„ჩერნომორ“.	14	15	646120
„ზენიტი“	15	14	645500
„ფახთაქორი“	15	14	579970
„დნეპრი“	15	15	578900
„არარატი“	15	14	556640
„ნეფთჩი“	15	14	555500
„ჟალგირისი“	15	15	506090
„ტორპ.“ ქ.	16	14	505130
„ნისტრუ“	14	16	484900
ცსკა	14	15	473100
„დინ“. მ.	14	14	437150
„ტორპ“. მ.	14	15	397450

20 სექტემბერს გაიმართა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი, 30-ე ტურის კალენდარული მატჩები.

ტურის შედეგები ასეთია: „დინამო“ (ბათუმი) — „დილა“ (გორი) 5:2, „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ქიაფაზი“ (კიროვაბადი) 3:1, „დინამო“ (სოხუმი) — „ავტომობილისტი“ (მინგეჩაური) 2:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 3:2, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:1, „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) — „ოლიმპია“ (არტაშატი) 2:1, „სპარტაკი“ (ოქტემბერიანი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) — 1:0.

II ლიგა

გათამაშების ცხრილი

II ლიგა, IX ზონა

მდგომარეობა 22 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოტაიკი“	27	14	9	4	60-35	37
„დინ.“ ბ.	26	15	5	6	50-20	35
„მერცხ.“	27	15	3	9	32-27	33
„კოლ-ჩი“	26	14	5	7	47-30	33
„კოლხეთი“	27	14	5	8	46-33	33
„მეშახტე“	27	14	3	10	40-34	31
„დილა“	28	13	5	10	40-37	31
„ლოკომ.“	26	13	5	8	37-21	31
„ქიაფაზი“	28	11	5	12	45-47	27
„დინ.“ ს.	27	10	6	11	28-37	26
„ყარაბ.“	26	11	3	12	33-30	25
„ხაზარი“	27	9	7	11	36-42	25
„შირაკი“	26	10	4	12	39-37	24
„სპარტ.“	25	8	2	15	31-40	18
„ავტომ.“	27	6	5	16	27-53	17
„არაზი“	26	5	4	17	24-58	14
„ოლიმპია“	27	3	6	18	24-60	12

„თბილისის 6 დღე“

ხვალიდან თბილისის ცენტრალურიველოდრომი ველოსიპედისტთა მეტად საინტერესო ტურნირს უმასპინძლებს — 23 სექტემბერს დაიწყება და 28 სექტემბრამდე გასტანს საერთაშორისო შეჯიბრება ველოსპორტში „თბილისის 6 დღე“. შეჯიბრების მონაწილეთა შორის არიან პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა ნაკრები გუნდები.

საბჭოთა ველოსიპედისტთა მიღწევები საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო თვალშისაცემი ხდება. ბოლო წლებში თავი გამოიჩინეს როგორც საგზატკეცილო რბოლის, ისე ტრეკის ოსტატებმა. ველოსპორტის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი ისეთი სახელები, როგორიცაა კოპილოვი, სუხორუჩენკოვი, კაშირინი. სასიხარულოა, რომ გარკვეული აღმავლობა შეინიშნება ქართულ ველოსპორტშიც. უპირველეს ყოვლისა კი სატრეკო დისციპლინებში. ემზარ გელაშვილი, მერაბ სურმავა, ოთარ მჭედლიშვილი — ამ სახელებს ქართველი გულშემატკივრები სამამულო ველოსპორტის დღევანდელ და სამომავლო წარმატებებს უკავშირებენ. შეჯიბრება, რომელიც ხვალიდან აიღებს სტარტს, ჩვენი სპორტსმენებისათვის ძალთა გამოცდისა და გამოცდილების შეძენის საუკეთესო საშუალება იქნება, განსაკუთრებით კი შეხვედრები ტრადიციულად ისეთ ძლიერ მეტოქეებთან, როგორიც არიან ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ველომრბოლელები.

ერთი სიტყვით, „თბილისის 6 დღე“ ჩვენ მაყურებლებს მეტად საინტერესო და მრავალფეროვან ორთაბრძოლებს ჰპირდება.

● ველოსპორტი

„ტურ დე ლავენირში“...

გდრ-ის ცნობილმა ველომრბოლელმა ო. ლუდვიგმა გაიმარჯვა საფრანგეთში ჩატარებულ პოპულარულ ველორბოლაში „ტურ დე ლავენირში“. მისი უახლოესი მეტოქე ფრანგი ჟ. შორენი გამარჯვებულს (45:55.36,0) 3 წუთითა და 36 წამით ჩამორჩა. საბჭოთა მრბოლელები ამ შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

იტალია

პირველი ტური ამ ქვეყნისთვის სრულიად უჩვეულო შედეგიანობით აღინიშნა — 8 მატჩში გაიტანეს 38 ბურთი! „იუვენტუსმა“, რომლის შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა ახალ ცენტრფორვარდ პენცოს, ანგარიშით 7:0 მოუგო „ასკოლის“, ამასთან ორორი ბურთი პლატინიმ და ბონეკმა გაიტანეს. ბრწყინვალედ ითამაშა ზიკომ „უდინეზეში“, რომელმაც სტუმრად გენუაში სასტიკად დაამარცხა (5:0!) „ფკ 94 ჯენოვა“. ბრაზილიელი უნარიანად წარმართავდა პარტნიორების თამაშს და თვით ორი გოლის ავტორი გახდა. „ფიორენტინამ“ ანგარიშით 5:1 სძლია „ნაპოლის“, ამასთან სამი გოლი გაიტანა ახალგაზრდა მონელიმ. მოულოდნელი იყო „ინტერის“ მარცხი (1:2) საკუთარ მინდორზე გენუის „სამპდორიასთან“. სუსტად ითამაშეს გფრ-ის ნაკრების წევრმა ჰ. მიულერმა და ბელგიელმა კოეკმა.

სხვა მატჩები: „აველინო“ — „მილანი“ 4:0, „კატანია“ — „ტორინო“ 0:0, „რომა“ — „პიზა“ 2:0, „ჰელასი“ (ვერონა) — „ლაციო“ (რომი) 4:2.

ესპანეთი

II ტურის შედეგები ასეთია: „ატლეტიკო“ (მადრიდი) — „სევილია“ 1:0, „ბარსელონა“ — „ოსასუნა“ 1:0, „ვალენსია“ — „რეალი“ (ვალიადოლიდი) 3:2, „რეალ-სოსიედადი“ (სან-სებასტიანი) — „სპორტინგი“ (ხიხონი) 3:0, „მალაგა“ — „რეალი“ (მადრიდი) 6:2! „კადისი“ — „მურსია“ 1:3, „სალამანკა“ — „მაიორკა“ 1:1.

ორი ტურის შემდეგ 4-4 ქულა აქვთ „მურსიასა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“.

ინგლისი

კვლავინდებურად ჩინებულად თამაშობს ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედი“. IV ტურში მან ანგარიშით 3:1 სძლია „ლესტერ სიტის“. V ტურში „კოვენტრი სიტისთან“ შეხვედრისას ანგარიშით 2:0 წინ იყვნენ სტუმრები, ამასთან ლონდონელმა სტიუარტმა ვერც 11-მეტრიანი საჯარიმო გამოიყენა. ამის მიუხედავად, „ვესტ ჰემ იუნაიტედმა“ არ შეანელა შეტევა, ზედიზედ 5 ბურთი გაიტანა და მოიგო კიდეც — 5:2, ორი გამარჯვება („ევერტონთან“ 3:0 და „სტოკ სიტისთან“ 5:0) იზეიმა ლიდერის უახლოესმა მდევარმა „იფსვიჩ თაუნმაც“.

5 ტურის შემდეგ ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება:

	თ.	ბ.	ქ.
„ვესტ ჰემ იუნაიტედი“	5	15—3	15
„იფსვიჩ თაუნი“	5	15—3	13
„მანჩესტერ იუნაიტედი“	5	10—5	12
„ლივერპული“	5	6—2	11
„საუთჰემპტონი“	5	5—1	11

პორტუგალია

ნათამაშევია 3 ტური. სამ-სამი მოგებით წინ გაიჭრნენ ძველი მეტოქეები „სპორტინგი“ (ლისაბონი) და ამავე ქალაქის „ბენფიკა“. 5-5 ქულა აქვთ გიმარაეშის „ვიტორიასა“ და ბრაგას „სპორტინგს“.

საფრანგეთი

VIII ტურში ლიდერმა „ექსერმა“ უმასპინძლა საფრანგეთის მრავალგზის ჩემპიონს „სენტ-ეტიენს“, რომელსაც ახლა ძალიან უჭირს — უკანასკნელ, მეოცე ადგილზეა. ლიდერმა გაიმარჯვა 1:0, თუმცა მას რამდენიმე გუნდი კვლავ ფეხდაფეხ მიჰყვება.

„ექსერი“	8	17—4	14
„მონაკო“	8	17—5	13
„ჟირონდა“ (ბორდო)	8	18—9	12
„ნანტი“	8	12—4	11

ჰოლანდია

კვლავინდებურად წარმატებით იბრძვიან წამყვანი გუნდები „აიაქსი“ (ამსტერდამი) და „ფაიენოორდი“ (როტერდამი). VI ტურში ორივე მათგანმა გაიმარჯვა: „აიაქსმა“ სიტარდის „ფორტუნასთან“ 2:1, ხოლო „ფაიენოორდმა“ — „გრონინგენთან“ 2:0.

„აიაქსი“	6	21—6	11
„ფაიენოორდი“	6	18—6	11
„როდა“ (კერკრადე)	6	10—6	9

შოტლანდია

3 ტურის შემდეგ მაქსიმუმი — 6-6 ქულა სამმა გუნდმა: „დანდი იუნაიტედმა“, გლაზგოს „სელტიკმა“ და „ჰართსმა“ მოაგროვა. „გლაზგო რეინჯერსმა“ უფერული სტარტი აიღო და მხოლოდ 1 ქულა აქვს.

ბელგია

6 ტურის შემდეგ 11 ქულით წინ არის თასის მფლობელი „ბევერენ-ვაასი“. უკანასკნელ ორ შეხვედრაში მან ძნელი გამარჯვება მოიპოვა ერთნაირი ანგარიშით 1:0 „ლოკერენსა“ და „ლირსთან“.

გფრ

VI ტურში აღსანიშნავია პირველ ლიგაში დაბრუნებულ „ბაიერის“ (უერდინგენი) გამარჯვება 3:2 ლიდერ „შტუტგარტთან“.

ტურის დანარჩენი მატჩები: „აინტრახტი“ (ბრაუნშვაიგი) — „ბაიერნი“ (მიუნხენი) 1:2, „კიკერსი“ (ოფენბახი) — „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი) 2:1, „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ 2:3, „არმინია“ (ბილეფელდი) — „კაიზერსლაუტერნი“ 3:2, „ბაიერი“ (ლევერკუზენი) — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 4:2, „ბოხუმი“ — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) 0:4, „ვალდჰოფი“ (მანჰაიმი) — „კიოლნი“ 2:2, „ვერდერი“ (ბრემენი) — „ნიურნბერგი“ 2:0.

„ბაიერნი“ (მიუნხენი)	6	11—6	10
„ბაიერი“ (უერდინგენი)	6	18—11	9
„ჰამბურგერ შპორტფერაინი“	6	12—7	9

იუგოსლავია

VI ტურში სპლიტის „ჰაიდუკმა“ სძლია „ვარდარს“ (სკოპლე) ანგარიშით 2:0 და 9 ქულით პირველ ადგილზეა. 8-8 ქულა მოაგროვეს ტუზლას „სლობოდამ“, „ფკ რიეკამ“, ბელგრადის „პარტიზანმა“ და „პრიშტინამ“.

რუმინეთი

სამი ტურის შემდეგ 5-5 ქულით წინ არის ბუქარესტის სამი კლუბი: „სტიაუა“, „სპორტული“ და „დინამო“.

ბულგარეთი

IV ტურში ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“ უჩვეულო ანგარიშით 8:2 სძლია პლოვდივის „ლოკომოტივს“. დიდი ანგარიშით 4:1 გაიმარჯვა მეორე ლიდერმა „ლევსკი-სპარტაკმა“ ვარნის „ჩერნო მორესთან“.

ახლა ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამესა“ და „ლევსკი-სპარტაკს“ 8-8 ქულა აქვთ.

უნგრეთი

50 ათასი მაყურებელი დაესწრო „ნეპშტადიონზე“ ბუდაპეშტის გუნდების ორ მატჩს, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით გაიმართა. „დოჟა-უიპეშტმა“ და „ჰონვედმა“ ფრედ 2:2 ითამაშეს, ხოლო „ვაშაშმა“ ანგარიშით 4:2 მოუგო „ფერენცვაროშს“.

ახლა ჩემპიონატს 7-7 ქულით ერთბაშად ოთხი ლიდერი ჰყავს: „დოჟა უიპეშტი“, „ვაშაში“, ტატაბანიის „ბანიაში“ და ჩემპიონი, დიერის „რაბა ეტო“.

ჩეხოსლოვაკია

VI ტურის ცენტრალურ შეხვედრაში პრაღის „დუკლამ“ ანგარიშით 2:1 სძლია ოსტრავის „ბანიკს“ და 11 ქულით კვლავინდებურად ლიდერობს. იგი ორი ქულით უსწრებს პრაღის „სპარტას“.

გდრ

5 ტურის შემდეგ 9 ქულით წინ არის ლაიფციგის „ლოკომოტივი“, რომელმაც უკანასკნელ შეხვედრაში ანგარიშით 4:1 იენაში სძლია ადგილობრივ „კარლ ცაისს“. ლიდერს თითო ქულით ჩამორჩებიან „ფკ მაგდებურგი“, ბერლინის „დინამო“ და დრეზდენის „დინამო“. ცუდად აიღო სტარტი იენის „კარლ ცაისმა“, რომელსაც მხოლოდ 3 ქულა აქვს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ახალი წესები ინგლისში

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ თამაშის წესებსა და ჩემპიონატის დებულებაში მრავალი სიახლე შეიტანა. ფიფა ებრძვის ამ სიახლეებს, აფრთხილებს ინგლისელებს, მაგრამ ისინი თავისას მაინც არ იშლიან.

აი, ინგლისელთა ახალი ექსპერიმენტი: თუ საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმების შესასრულებლად მეტოქეები არ იცავენ მანძილს, უკან არ იხევენ 9 მეტრზე, მსაჯი ახალ საჯარიმოს ნიშნავს, იგი კი უწინდელზე გაცილებით უფრო სახიფათოა, ვინაიდან დაზარალებულებს კედლის აღმართვის ნება აღარა აქვთ და ჯარიმა ფაქტიურად პენალტივით სრულდება.

ფინალისტები...

სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალის საგზურები მოიპოვეს. მათ გარდა ფინალში იასპარეზებენ რუმინეთის, ბულგარეთის, გფრ-ის, გდრ-ის და უნგრეთის ქალთა გუნდები, ხოლო ვაჟთა შორის — ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, ბულგარეთის, პოლონეთისა და იტალიის კოლექტივები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხი რესპუბლიკის გუნდების მონაწილეობით

ორი დღის განმავლობაში რუსთავის მახლობლად მდებარე საქართველოს დოსააფის სპორტული კომპლექსის მაყურებელთა ტრიბუნები და ახლო მდებარე მთის ფერდობები სავსე იყო ავტოსპორტის გულშემატკივრებით.

კვირას აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირველობის სამხრეთის ზონის ეტაპი საავტომობილო წრიულ რბოლაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ უზბეკეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს ნაკრები გუნდები. ამ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის პირველობის დასკვნით ფინალურ ეტაპში, რომელიც ოქტომბრის დასაწყისში კიევში გაიმართება.

შეჯიბრება გახსნეს VII კლასის სპორტულმა ავტომობილებმა. ამ კლასში გამოდიოდა ჟიგულისა და მოსკვიჩის კლასის ავტომანქანები. პირველი ადგილი მოიპოვა საქართველოს ავტოსპორტის ვეტერანმა მიხეილ ლოგინოვმა.

VIII კლასში თითქმის 12 წრეს ლიდერობდა ცნობილი ქართველი სპორტსმენის შოთა მამრიკიშვილის ვაჟი ოთარ მამრიკიშვილი, მაგრამ მას სპორტულმა ბედმა უმუხთლა — ძრავის მწყობრიდან გამოსვლის გამო იძულებული გახდა შეეწყვიტა ასპარეზობა. პირველი ადგილი მიეკუთვნა სომხეთის წარმომადგენელს გ. ტუტლუხიანს. X კლასში „გაზ-24" მარკის ავტომანქანებით ასპარეზობდნენ. აქ პირველობა არავის დაუთმო საქართველოს წარმომადგენელმა გიორგი ატუაშვილმა, რომელმაც საგრძნობლად გაუსწრო მეტოქეებს.

ბოლოს გაიმართა საქართველოს დოსააფის რესპუბლიკური სპორტული კლუბის ღია ჩემპიონატი სპორტულ სარბოლო მანქანებით რბოლაში. ჩემპიონი გახდა თბილისელი ექიმი გიორგი მაღრაძე.

ხ. ვართანიანცი,

რესპუბლიკური მსაჯი ავტო-მოტო სპორტში.

• • •

სურათებზე: (მარცხნიდან): ტრასაზეა მეშვიდე, მერვე კლასის და სპორტული ფორმულის მანქანები.

ავტორის ფოტოები.







● **ჭადრაკი**

ოთხი საგზურისთვის

ქუთაისი, 21 სექტემბერი, **(ტელეფონით, „ლელოს" კორ.).** ქალაქის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გუშინწინ საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატის ერთ-ერთი ნახევარფინალი ჭადრაკში. მონაწილეებს მიესალმა სახალხო დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე დ. წერეთელი. შეჯიბრების დებულება დამსწრეთ გააცნო მთავარმა მსაჯმა ი. შმაგინმა (სვერდლოვსკი). მან თქვა, რომ I-IV ადგილებზე გასულნი ჩემპიონატის ფინალის საგზურებს მიიღებენ.

წილისყრით მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ: ოსტატი ი. ჩელუშკინა (ლვოვი), 2. ოსტატი ლ. ლოპატინა (მოგილიოვი), 3. ოსტატი ო. პედკო (ჩელიაბინსკი), 4. ოსტატი ს. ბახირევა (მოსკოვი), 5. ჰ. ლაგვილავა (ქუთაისი), 6. ოსტატი ლ. პიარნპუუ (ტალინი), 7. ი. სონი (ლვოვი), 8. ოსტატი კ. ბაკინსკაიტე (ლიტვა), 9. ოსტატი ი. უმანსკაია (მოსკოვი), 10. ოსტატი გ. სახატოვა (ალმა-ათა), 11. საერთაშორისო ოსტატი თ. ხუგაშვილი (თბილისი), 12. ოსტატი ე. ხოროვეცი (მინსკი), 13. ოსტატი ც. ქასოშვილი (გორი), 14. საერთაშორისო ოსტატი თ. მინოგინა (მოსკოვი), 15. ოსტატი ლ. კულიკოვა (ერევანი), 16. საერთაშორისო ოსტატი ტ. ფომინა (ტალინი).

I ტურში, რომელიც 20 სექტემბერს გაიმართა, ლაგვილავამ დამარცხა ხოროვეცი, პედკომ — მინოგინა და სონმა — სახატოვა. ყაიმზე შეთანხმდნენ ლოპატინა და კულიკოვა. ოთხი პარტია გადაიდო.

ლ. ფაჩუაშვილი.

არის სენსაციაც

ხარკოვში დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება 64 და 100-უჯრიან შაშში. შეჯიბრებაში 10 გუნდი მონაწილეობს, მათ შორის საქართველოს ნაკრებიც. თითოეულ გუნდში 8 მოშაშეა.

3 ტურის შემდეგ ლიდერობს უკრაინის გუნდი — 16 ქულა.

საქართველოს ნაკრებმა სამივე მატჩი წააგო: ლიტვის და უკრაინის გუნდებთან ანგარიშით 1:7 და ლატვიის მოშაშეებთან —3,5:4,5.

გათამაშების სენსაციაა ახალგაზრდა არხანგელსკელი ტ. ფროლოვას მოგება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ე. ალტშულთან.

● **შაში**

● **ძიუდო**

საპრიზო ადგილებზე

ქართველი ძიუდოისტების ავტორიტეტი საყოველთაოდაა ცნობილი არა მარტო კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში დამთავრდა ძიუდოისტთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიაც ორი ქართველი ძიუდოისტი მონაწილეობდა — თბილისელი ბ. გოგიჩაშვილი (95 კგ) და ქუთაისელი ა. კიბორძალიძე (95 კგ-ის ზევით). გოგიჩაშვილმა ოქროს, ხოლო კიბორძალიძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა ტაშკენტელი ა. კლოიანიც (78 კგ), ხოლო ბრინჯაოს მედალი ერგო მინსკელ ვ. სენკევიჩს (86 კგ). სპეციალისტთა აზრით ვარშავის ტურნირი კარგი რეპეტიცია იყო ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც მოსკოვში 13-16 ოქტომბერს გაიმართება.

ვენაში, იუნიორთა ჩემპიონატზე

ევროპის ქვეყნების ახალგაზრდა მძლეოსნები მეშვიდედ შეიკრიბნენ თავიანთ ჩემპიონატზე — აგვისტოს ბოლო კვირას ევროპის 28 ქვეყნის იუნიორები გულთბილად მიიღო ავსტრიის დედაქალაქიდან 19 კილომეტრით დაშორებულმა პატარა ქალაქმა შვეხატმა. ჩემპიონატზე საბჭოთა კავშირის ნაკრები 75 სპორტსმენით და მწვრთნელით იყო წარმოდგენილი.

ამ დღეებში სტადიონზე ვერ შეხვდებოდით გულშემატკივართა ისეთ აღფრთოვანებულ ჯგუფს, როგორიც მწვრთნელთა საგანგებო ჯგუფი იყო. იგი ერთადერთი ინტერესით — საბჭოთა ნაკრების ინტერესით ცხოვრობდა. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელიც — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი მიხეილ მუხიგულაშვილი, რომელიც აქტიურად ეხმარებოდა სიგრძეზე მხტომელებს და სამმაგ მხტომელებს. 4 დღის შეუპოვარმა ბრძოლამ საბჭოთა ნაკრებს მოუტანა 34 მედალი, რომელთაგან 13 უმაღლესი სინჯისაა. ამ მედლების მოსაპოვებლად ჩვენს სპორტსმენებს ბევრი რეკორდის დამყარება დასჭირდათ. ლენინგრადელმა ელენა ტოპჩინამ ევროპის უმაღლესი შედეგი აჩვენა — სიმაღლეზე ხტომაში 194 სმ დაძლია და ოქროს მედალი დაიმსახურა. ასევე ოქროს მედალი მოიპოვა 18 წლის ნიკოლოზ მატიუშენკომ 2000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში — 5.31,3. საკავშირო რეკორდი 400 მეტრზე ბარიერებით რბენაში გააუმჯობესა ოდესელმა რუსლან მიშჩენკომ (49,71). თავისი რესპუბლიკის რეკორდები გააუმჯობესა ოქროს მედლის მფლობელმა არაერთმა სპორტსმენმა. ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობის 20 წლის მანძილზე საბჭოთა იუნიორმა მძლეოსნებმა პირველად მიაღწიეს ამგვარ შედეგს.

მაგრამ სპორტსმენები, მწვრთნელები, ჟურნალისტები მხოლოდ შეჯიბრებებით როდი ცხოვრობდნენ. ისინი ხვდებოდნენ ნეიტრალური ავსტრიის მკვიდრთ, ეცნობოდნენ ქვეყნის ისტორიას, მის თანამედროვეობას. ერთ დღეს ჩვენი დელეგაცია ეწვია ვენის ცენტრალურ სასაფლაოს, სადაც დაკრძალულია 2000 საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი, რომელთაც თავი გაწირეს ავსტრიელი ხალხის თავისუფლებისათვის, ფაშიზმისაგან ევროპის გათავისუფლებისათვის, იმისათვის, რომ ევროპის ქვეყნების ახალგაზრდა მძლეოსნებს შეძლებოდათ მშვიდობიან ბრძოლის ველზე შეხვედროდნენ ერთმანეთს, ამავე სასაფლაოზე დელეგაციამ პატივი სცა დიდი კომპოზიტორების შტრაუსის, მოცარტის, ბეთხოვენის ხსოვნას.

ღრმა და მძიმე შთაბეჭდილება დატოვა საკონცენტრაციო ბანაკ მაუტჰაუზენმა. აქ 110000-მა კაცმა სამშობლოს, კაცთმოყვარეობის, თავისუფლების სამსხვერპლოზე მიიტანა ყველაზე ძვირფასი — საკუთარი სიცოცხლე.

რაც შეეხება მძლეოსნებს საქართველოდან: ზ. ზილბერშტეინსა და მ. პილოიანს, 1983 წლის სეზონი მათ შესანიშნავად დაიწყეს. სსრ კავშირის იუნიორთა ზამთრის ჩემპიონატზე ზილბერშტეინმა I ადგილი დაიკავა, პილოიანმა კი მძლეოსნური კროსის საბჭოთა კავშირის თასის ფინალში ვერცხლის მედალი მოიპოვა. ეგრეთ წოდებულ „სამთო მზადების" შემდეგ კი მათ დაკარგეს სპორტული ფორმა და დასკვნით შესარჩევ შეჯიბრებებზე ვერ შეძლეს ავსტრიაში გასამგზავრებელი უფლების მოპოვება.

ახლა ზილბერშტეინი და პილოიანი სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად მოემზადებიან კროსში მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც 1984 წლის მარტში ნიუიორკში ჩატარდება. 1984 წლის თებერვალში საბჭოთა მძლეოსნები შეიკრიბებიან თბილისში, სადაც გაირკვევა იმ უძლიერესთა ვინაობა, ვინც აშშ-ში დაიცავს საბჭოთა სპორტის ღირსებას.

ხ. ხაჩატურიანი,

საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი გამძლეობის სახეობებში.

თუ გსურთ მიმოწერით თამაში

ლენინგრადის ოლქის ქალაქ პუშკინის საჭადრაკო ფედერაცია იწვევს ყველა თანრიგის მოჭადრაკეს მიმოწერით თამაშში ქ. პუშკინის II ღია პირველობაში მონაწილეობის მისაღებად. განაცხადი, ცნობა თანრიგის შესახებ და სატურნირო შესატანი (2 მან.) უნდა გაიგზავნოს ა. წ. 1 დეკემბრამდე შემდეგი მისამართით: 188620. ლენინგრადი, ქ. პუშკინი, —1, სააბონენტო ყუთი 18.

ტურნირები 1984 წლის 1 იანვარს დაიწყება.

ხ. ეროფეევი,

ქ. პუშკინის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

● **რეგბი**

თანაბარი ქულებით

რეგბისტთა გუნდების ჩემპიონატში უძლიერესი ექვსი გუნდი აგრძელებს ბრძოლას ჯილდოებისთვის.

ლენინგრადის „პრიმორეცისა" და ი. გაგარინის სახელობის სამხედრო საჰაერო აკადემიის (მოსკოვის ოლქი) გუნდის შეხვედრაში გაიმარჯვეს ამ უკანასკნელებმა 27:6. ლიდერების მოსკოვის „ლოკომოტივისა" და „ფილის" შეხვედრაში დამარცხდნენ რკინიგზელები 12:13. ახლა ორივე გუნდს 55-55 ქულა აქვთ. მათ გარდა ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლის რეალური შანსები აქვს „სლავას" (52) და სამხედრო საჰაერო აკადემიის გუნდს — 51 ქულა.

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" მორიგი, 38-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (4 ბარათი) მოგება 8149 მანეთია, ოთხისთვის (399 ბარათი) — 107, სამისთვის (11378 ბარათი) —6.

„სპორტლოტო 5 36"-დან: ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (9 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის (1669 ბარათი) — 203, სამისთვის (64890 ბარათი)— 8.

მოგებული თანხის განაღდება— 28 სექტემბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თბილისის გაერთიანებული კომიტეტების სპარტაკიადა, მიძღვნილი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 66-ე წლისთავისადმი, გაიხსნება 24 სექტემბერს 12 საათზე კიროვის სახელობის პარკში, თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის სპორტულ ბაზაზე.

საორგანიზაციო კომიტეტი.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, სოლოლაკის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე—07808